

საქართველოს ტყეებში გავრცელებული  
ძირითადი მერქნიანი სახეობები

# საველე მეგობარი



საქართველოს გარემოს  
და სუბსიდიური რესურსების  
დაცვის სამინისტრო



გარემოს  
სააგენტო



Caucasus Environmental NGO Network

with funding from

**Austrian**  
 **Development Cooperation**

საქართველოს ტყეებში 400-მდე სახეობის ხე და ბუჩქი იზრდება. მეტყევის მეგზურში შეტანილია საქართველოში გავრცელებული ხეებისა და ბუჩქების 100 სახეობა, რომლებიც 38 ბოტანიკურ ოჯახშია გაერთიანებული. საქართველოს ტყეების მაღალი ბიომრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემური და რელიქტური მერქნიანი სახეობების საკმაო სიმრავლე (საქართველოს ფლორის 61 და კავკასიის ფლორის 43 ენდემური სახეობა).

საქართველოს ტყეებს ველური ფაუნის საბინადრო სამიგრაციო დერეფნის ფუნქცია აქვთ და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ფაუნის სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. საქართველოს რთული და ღრმად დანაწევრებული მთიანი რელიეფის პირობებში ტყეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ მათი დიდი კლიმატმარეგულირებელი, წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციების გამო.

## შესავალი

---

ტყეები ასევე უზრუნველყოფენ ქვეყნის მოსახლეობას სასიცოცხლო დანიშნულების რესურსებით და ხელს უწყობენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, (იგულისხმება რეკრეაციული, სანიტარიულ-ჰიგიენური, ესთეტიკური, სამშენებლო და სხვ. დანიშნულებები).

სატყეო მეგზურში ბოტანიკური ოჯახები გამოყოფილია ფერებით. მოცემულია სახეობების ანბანური საძიებლები და თანამედროვე საერთაშორისო ბოტანიკური ნომენკლატურით განსაზღვრული ლათინური და ინგლისური სახელწოდებები.

თითოეული სახეობისათვის მოცემულია სისტემატიკური ნიშნების მოკლე დახასიათება, გავრცელების არეალი და დაცულობის სტატუსი.

## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
აკაკი კავკასიური	<i>Celtis caucasica</i>	35
აკაკი სამხრეთის	<i>Celtis australis</i>	36
აკაკი შიშველი (გლუვი)	<i>Celtis glabrata</i>	37
არყი ლიტვინოვის	<i>Betula litwinowii</i>	24
არყი მედვედევის	<i>Betula medwedewii</i>	22
არყი მეგრული	<i>Betula megrelica</i>	23
არყი რადესი	<i>Betula raddeana</i>	25
ასკილი	<i>Rosa canina</i>	70
ბალამწარა	<i>Cerasus silvestris</i>	71
ბაძგი იხ. ჭყორი კოლხური	<i>Ilex colchica</i>	18
ბზა კოლხური	<i>Buxus colchica</i>	30
ბოყვი	<i>Acer pseudoplatanus</i>	10
ბროწეული	<i>Punica granatum</i>	66
გრაკლა კრამანასებრი	<i>Spiraea hypericifolia</i>	72
დათვის თხილი (თხილი ქართული)	<i>Corylus iberica</i>	26

## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
დაფნა კეთილშობილი	<i>Laurus nobilis</i>	62
დეკა	<i>Rhododendron caucasicum</i>	47
დიდგულა შავი	<i>Sambucus nigra</i>	31
ეკალღიჭი	<i>Smilax excelsa</i>	100
ვაშლი ველური იხ. მაჟალო	<i>Malus orientalis</i>	76
ვერხვი ჭალის იხ. ხვალო	<i>Populus hybrida</i>	88
ვერხვი მთრთოლავი (ჩვეულებრივი)	<i>Populus tremula</i>	84
ვერხვი შავი (ოფი)	<i>Populus nigra</i>	85
ზღმარტლი ჩვეულებრივი	<i>Mespilus germanica</i>	73
თაგვისარა პონტოსი	<i>Ruscus ponticus</i>	99
თელა ქართული	<i>Ulmus georgica</i>	94
თელადუმა პატარა	<i>Ulmus minor</i>	93
თრიმლი	<i>Cotinus coggygria</i>	15
თუთუბო	<i>Rhus coriaria</i>	16

## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
თხილი ქართული იხ. დათვის თხილი	<i>Corylus iberica</i>	26
თხილი ჩვეულებრივი	<i>Corylus avellana</i>	27
იალღუნი ჩვეულებრივი	<i>Tamarix ramosissima</i>	90
იელი ჩვეულებრივი	<i>Rhododendron luteum</i>	48
იფანი ჩვეულებრივი	<i>Fraxinus excelsior</i>	64
კაკალი ჩვეულებრივი	<i>Juglans regia</i>	60
კევის ხე იხ. საღსაღაჯი	<i>Pistacia mutica</i>	17
კვიდო ჩვეულებრივი	<i>Ligustrum vulgare</i>	65
კომში ჩვეულებრივი	<i>Cydonia oblonga</i>	74
კოწახური ჩვეულებრივი	<i>Berberis vulgaris</i>	21
კუნელი შავი	<i>Crataegus pentagyna</i>	75
ლაფანი ფრთანაყოფიანი	<i>Pterocarya pterocarpa</i>	61
ლეკა	<i>Acer platanoides</i>	11
მაჟალო (ვაშლი ველური)	<i>Malus orientalis</i>	76
მაჯალვერი ჩვეულებრივი	<i>Daphne mezereum</i>	91

## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
მდგნალი	<i>Salix caprea</i>	86
მენახირის ბალი	<i>Cerasus incana</i>	77
მოცვი კავკასიური (მაღალი)	<i>Vaccinium arctostaphylos</i>	96
მოცვი მთის	<i>Vaccinium myrtillus</i>	97
მოცვი წითელი	<i>Vaccinium vitis-idaea</i>	98
მოცხარი მთის (ხუნწი)	<i>Ribes alpinum</i>	59
მურყანი ნაცარა	<i>Alnus incana</i>	29
მურყანი ჩვეულებრივი	<i>Alnus barbata</i>	28
მუხა აღმოსავლეთის (მაღალმთის)	<i>Quercus macranthera</i>	51
მუხა გრძელყუნწა იხ. მუხა ჭალის	<i>Quercus pedunculiflora</i>	55
მუხა იმერული	<i>Quercus imeretina</i>	52
მუხა მაღალმთის იხ. მუხა აღმოსავლეთის	<i>Quercus macranthera</i>	51
მუხა პონტოს	<i>Quercus pontica</i>	53

## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
მუხა ქართული	<i>Quercus iberica</i>	54
მუხა ჭალის (გრძელყუნწა)	<i>Quercus pedunculiflora</i>	55
მუხა ჰართვისის	<i>Quercus hartwissiana</i>	56
ნაძვი აღმოსავლური	<i>Picea orientalis</i>	4
ნეკერჩხალი ქართული	<i>Acer ibericum</i>	12
ნეკერჩხალი ჩვეულებრივი (მინდვრის)	<i>Acer campestre</i>	13
ნუში ქართული	<i>Amygdalus georgica</i>	78
ოფი იხ. ვერხვი შავი	<i>Populus nigra</i>	85
პანტა	<i>Pyrus caucasica</i>	79
რცხილა კავკასიური	<i>Carpinus caucasica</i>	41
საკმელა	<i>Cistus salviifolius</i>	38
სალსალაჯი (კევის ხე)	<i>Pistacia mutica</i>	17
სოჭი კავკასიური	<i>Abies nordmanniana</i>	5
სურო ჩვეულებრივი	<i>Hedera helix</i>	19



## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
ტყემალი	<i>Prunus divaricata</i>	80
ტირიფი თეთრი (წნორი)	<i>Salix alba</i>	87
უზანი	<i>Viburnum lantana</i>	32
უთხოვარი იხ. ურთხელი	<i>Taxus baccata</i>	9
ურთხელი (უთხოვარი)	<i>Taxus baccata</i>	9
უხრავი ჩვეულებრივი	<i>Ostrya carpinifolia</i>	42
ფითრი	<i>Viscum album</i>	63
ფიჭვი ბიჭვინთის	<i>Pinus pithyusa</i>	6
ფიჭვი ელდარის	<i>Pinus eldarica</i>	7
ფიჭვი კავკასიური	<i>Pinus sosnowskyi</i>	8
ფშატი (ჭალაფშატი)	<i>Elaeagnus angustifolia</i>	46
ქაცვი	<i>Hippophae rhamnoides</i>	45
ქორაფი	<i>Acer laetum</i>	14
ღვია გრძელწიწვიანი	<i>Juniperus oblonga</i>	1
ღვია მრავალნაყოფა	<i>Juniperus polycarpos</i>	2

## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
ღვია მყრალი	<i>Juniperus foetidissima</i>	3
ღვედკეცი მთრთოლავი	<i>Periploca graeca</i>	20
შავჯაგა	<i>Rhamnus pallasii</i>	68
შინდანწლა სამხრეთის	<i>Swida australis</i>	39
შინდი ჩვეულებრივი	<i>Cornus mas</i>	40
ჩინგილი	<i>Halimodendron halodendron</i>	50
ჩიტავაშლა ჩვეულებრივი	<i>Pyracantha coccinea</i>	81
ცაცხვი კავკასიური	<i>Tilia begoniifolia</i>	92
ცირცელი (ჭნავი)	<i>Sorbus caucasigena</i>	82
დახველი ჩვეულებრივი	<i>Viburnum opulus</i>	34
ძელქვა	<i>Zelkova carpinifolia</i>	95
ძეძვი	<i>Paliurus spina-christi</i>	69
წაბლი ჩვეულებრივი	<i>Castanea sativa</i>	57
წიფელი აღმოსავლეთის	<i>Fagus orientalis</i>	58

## მცენარეთა ანბანური საძიებელი

ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	#
წნორი იხ. ტირიფი თეთრი	<i>Salix alba</i>	87
წყავი ჩვეულებრივი	<i>Laurocerasus officinalis</i>	83
ჭალაფშატი იხ. ფშატი	<i>Elaeagnus angustifolia</i>	46
ჭნავი იხ. ცირცელი	<i>Sorbus caucasigena</i>	82
ჭყორი კოლხური (ბაძვი)	<i>Ilex colchica</i>	18
ხემარწყვა წვრილნაყოფა	<i>Arbutus andrachne</i>	49
ხეშავი სასაქმებელი	<i>Rhamnus cathartica</i>	67
ხვალო (ვერხვი ჭალის)	<i>Populus hybrida</i>	88
ხუნწი იხ. მოცხარი მთის	<i>Ribes alpinum</i>	59
ხურმა ჩვეულებრივი	<i>Diospyros lotus</i>	44
ჯაგრცხილა	<i>Carpinus orientalis</i>	43
ჯიქა	<i>Lonicera caprifolium</i>	33
ჯონჯოლი ჩვეულებრივი	<i>Staphylea pinnata</i>	89

# მცენარეთა ოჯახების ტაქსონომიური საძიებელი

## GYMNOSPERMAE

## შიშველთესლოვანნი

1	Cupressaceae
4	Pinaceae
9	Taxaceae

კვიპაროზისებრნი  
ფიჭვისებრნი  
ურთხელისებრნი

## ANGIOSPERMAE

## ფარულთესლოვანნი

10	Aceraceae
15	Anacardiaceae
18	Aquifoliaceae
19	Araliaceae
20	Asclepiadaceae
21	Berberidaceae
22	Betulaceae
30	Buxaceae
31	Caprifoliaceae
35	Celtaceae
38	Cistaceae
39	Cornaceae
41	Corylaceae
44	Ebenaceae
45	Elaeagnaceae
47	Ericaceae
50	Fabaceae
51	Fagaceae

ნეკერჩხლისებრნი  
თუთუბოსებრნი  
ბაძგისებრნი  
სუროსებრნი  
ღვედკეცისებრნი  
კონახურისებრნი  
არყისებრნი  
ბზისებრნი  
ცხრატყავასებრნი  
აკაკისებრნი  
საკმელასებრნი  
შინდისებრნი  
თხილისებრნი  
აბანოზისებრნი  
ფშატისებრნი  
მანანასებრნი  
პარკოსანნი  
წიფლისებრნი

# მცენარეთა ოჯახების ტაქსონომიური საძიებელი

59	Grossulariaceae	ხურტკმელისებრნი
60	Juglandaceae	კაკლისებრნი
62	Lauraceae	დაფნისებრნი
63	Lhorantaceae	ფითრისებრნი
64	Oleaceae	ზეთისხილისებრნი
66	Punicaceae	ბროწეულისებრნი
67	Rhamnaceae	შავჯაგასებრნი
70	Rosaceae	ვარდისებრნი
84	Salicaceae	ტირიფისებრნი
89	Staphyleaceae	ჯონჯოლისებრნი
90	Tamaricaceae	იალლუნისებრნი
91	Thymeleaceae	მაჯალვერისებრნი
92	Tiliaceae	ცაცხვისებრნი
93	Ulmaceae	თელასებრნი
96	Vacciniaceae	მოცვისებრნი
99	Ruscaceae	თაგვისარასებრნი
100	Smilacaceae	ეკალდიჭისებრნი

## აღნიშვნები

EN (Endangered) გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობა

VU (Vulnerable) მონყვლადი სახეობა

IUCN (International Union for Conservation of Nature)  
ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი

1

# ღვია გრძელფოთიანი

*Juniperus oblonga*





მარადმწვანე წიწვოვანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე — 10 მ-მდე, ვარჯი — გაშლილი, სწორად მდგომი; მთავარი ღერო — რუხი ფერის ქერქით დაფარული; წიწვები — სწორი, 1.5–4 სმ სიგრძის, ბოლოწაწვეტებული, ეკლიანი; მამრობითი გირჩები — მოყვითალო ფერის, მოგრძო, ოვალური ან კვერცხისებური, მთლიანი ქერცლით დაფარული; მწიფე მდედრობითი გირჩები — ფარისებური ან კვერცხისებური, მოშავო, ლურჯი ან ლეგა ნაფიფქით; თესლი — 1-3 სმ-მდე, მოგრძო, ოვალური, მურა ფერის.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული — ზღვის დონიდან სუბალპურ სარტყლამდე.



*Juniperus polycarpus*



გავრცელების არეალი





მარადმწვანე, წიწვოვანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე — 6-12 მ-მდე, ვარჯი — ხშირი, პირამიდული ან ცილინდრული; ღერო — მოწითალო, რუხი, აქერცლილი ქერქით დაფარული; წიწვები — ღია მწვანე, პატარა ზომის, ყლორტებზე კრამიტისებურად განლაგებული, კვერცხისებური ან რომბის ფორმის, ბლაგვი ან ოდნავ წაწვეტებული; მამრობითი გირჩები — სწორად მდგომი, მომრგვალო კვერცხისებური; მწიფე მდედრობითი გირჩები — სფეროსებური, მოშავო, ლურჯი ან ლეგა ნაფიფქით, მოკლე ყუნწებზე განლაგებული.

ძირითადად გავრცელებულია ქიზიყში (კახეთი) და მცხეთის მიდამოებში (შიდა ქართლი).

გამხმარი ნაყოფის ნაყენი გამოიყენება სამკურნალოდ. დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).


*Juniperus foetidissima*



მარადმწვანე წიწვოვანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე – 17 მ-მდე, ვარჯი – პირამიდული, კონუსისებური ან ნახევრად სფერული, ქერქი – რუხი, მოწითალო მურა; ტოტები – 4-წახნაგოვანი, რკალისებურად მოხრილი; წიწვები – უსიამოვნო სუნის, მჩხვლეტავი, ტოტებზე ჯვარედინად განლაგებული; მდედრობითი გირჩები – სფეროსებური ან მომრგვალო კვერცხისებური, მოწითალო შავი, ტოტის ბოლოზე მარტო მჯდომი.

გავრცელებულია, ძირითადად, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Picea orientalis*



მარადმწვანე წიწვოვანი ხე, სიმაღლე — 40–60 მ, ვარჯი — კონუსისებური, დახრილი ტოტებით; ასაკოვანი ხის ქერქი — მუქი რუხი ფერის, დახეთქილი, შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს; წიწვები — თითისტარის მოყვანილობის, 4-წახნაგოვანი, ტოტებზე სპირალურად განლაგებული; გირჩები — ტოტებზე ჩამოკიდებული, თესლი — კვერცხისებური, მოკლევრთიანი.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ყველგან, გავრცელებულია აგრეთვე ბორჯომის ხეობაში, აჭარა-თრიალეთის ქედზე თბილისამდე და კავკასიონის ქედზე მდ. არაგვის ხეობამდე, ზღ. დ. 300–2,400 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Abies nordmanniana*



მარადმწვანე, წიწვოვანი ხე; სიმაღლე — 50-60 მ, ვარჯი — კონუსისებური, დახრილი; წიწვები — ბრტყელი, ბლაგვწვერიანი, ტოტებზე ორ მწკრივად განლაგებული; მდედრობითი (სათესლე) გირჩები — ცილინდრული ფორმის, ტოტის ბოლოებზე განლაგებული; მთავარი ღეროს ქერქი — რუხი ნაცრისფერი, შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, წიწვები — ეთერზეთებს.

გავრცელებულია დას. საქართველოში, აგრეთვე ქართლში — მდ. პატარა ლიახვის აუზამდე — და თრიალეთის ქედზე სოფ. მანგლისამდე, ზღ. დ. 800-2,200 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.



*Pinus pithyusa*






მარადმწვანე წიწვოვანი ხე, სიმაღლე – 25-40 მ, ვარჯი – გაშლილი, ტოტები – წყვილ-წყვილად მჯდომი ღია მწვანე წიწვებითა და მოწითალო, კვერცხისებური გირჩებით. საქართველოში გავრცელებულია ბიჭვინთის ნახევარკუნძულის მიდამოებში, ზღ. დ. 900 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Pinus eldarica*



მარადმწვანე ხე, სიმაღლე – 12-15 მ, ვარჯი – ფართოდ გაშლილი, წიწვები – გრძელი, ღია მწვანე ფერის, მოკლე ტოტებზე – ორ-ორი.

ველურად გავრცელებულია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, ელიარ-ოულის ქედზე (ივრის ზეგანი).

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში” (1982).

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. აშენებენ აგრეთვე ფერდობებზე.

*Pinus sosnowskyi*



მარადმწვანე წიწვოვანი ხე, სიმაღლე – 20–25 მ, ვარჯი – პირამიდული ან მომრგვალო, ღერო – მურა, მოწითალო ყვითელი; წიწვები ტოტებზე წყვილ-წყვილად განლაგებული, ბლაგვწვერიანი, შეიცავს ეთერზეთებს; მდედრობითი გირჩები – კვერცხისებური ფორმის.

გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში, ქიზიყის (კახეთი) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის (ქვემო ქართლი) ტერიტორიების გარდა.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Taxus baccata*



მარადმწვანე წიწვოვანი ხე, სიმაღლე – 20–35 მ-მდე, ვარჯი – ხშირტოტიანი, პირამიდული ან სფეროსებური ფორმის; მთავარი ღეროს ქერქი – მოწითალო ყავისფერი, სიგრძეზე დახეთქილი; მერქანი – მოწითალო, გამძლე; წიწვები – ბრტყელი, წვერში წაწვეტებული, ტოტებზე ორ მწკრივად განლაგებული; თესლ-კვირტები – ძნელად შესამჩნევი, მერქანი – მოწითალო, გამძლე.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული – ზღ. დ. 1,800 მ-მდე. ურთხელის კორომები დაცულია კახეთში – ბაწარას ნაკრძალში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).



*Acer pseudoplatanus*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 25-30 მ, ვარჯი – მსხვილი, გაშლილი, გლუვი ტოტებით; ფოთლები – 3-5-ნაკვეთიანი, ყვავილები – მოყვითალო-მომწვანო, დაკიდულ, მტევნისებურ ყვავილედში მოთავსებული.

საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან, ძირითადად – ფართოფოთლოვან ტყეებში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.


*Acer platanoides*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-25 მ, ვარჯი – ლამაზი, მერქანი – თეთრი ფერის, მკვრივი; ფოთოლი – 5-7-ნაკვთიანი, გრძელყუნწიანი; ზაფხულში – მწვანე, შემოდგომაზე – მოწითალო-ყვითელი, სწორად მდგომ ყვავილედში შეკრებილი; ნაყოფი – ბრტყელი ფორმის, კაკლისებური.

საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან – ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, ზღ. დ. 1,800-2,000 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Acer ibericum*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 5-15 მ, ვარჯი — კობტა, ლამაზი, ხშირი ტოტებით; ფოთლები — მომწვანო, სამნაკვთიანი, წვრილი და ხორციანი, სწორად მდგომ მტევნისებურ ყვავილედებად შეკრული, მერქანი — მკვრივი და ლამაზი.

გავრცელებულია, ძირითადად, ქიზიყში (კახეთი) და ქვემო ქართლში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Acer campestre*




ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 15-25 მ, ვარჯი — ბურთისებური, მთავარი ღერო — მურა ნაცრისფერი, გრძივად დამსკდარი ქერქით; ფოთოლი — შედარებით სქელი, 3-5-ნაკვთიანი; ყვავილები — მოყვითალო-მწვანე, ფარისებური მტევნის ფორმის ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — ჰორიზონტალურად გაშლილი ორი ფრთით.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული — ზღ. დ. 1,500 მ-მდე, ძირითადად — ფოთლოვან ტყეებში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.



*Acer laetum*








ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-28 მ, ვარჯი – ბურთისებური, ფოთლები 5-7-ნაკვთიანი, მომწვანო, წვრილი ყვავილებით; ნაყოფი – ორფრთიანი, კაკლიანი.

გავრცელებულია საქართველოში თითქმის ყველგან – ზღ. დ. 1,500-1,600 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Cotinus coggygria*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე – 2-4 მ, ფოთლები – მომწვანო, მოგრძო; შემოდგომაზე – წითელი, ოვალური ან მომრგვალო-კვერცხისებური, კიდემთლიანი; ყვავილედები – მოწითალო ფერის, მოგრძო და მსხვილი; ნაყოფი – კურკიანი, წვრილი, მშრალი, უკუკვერცხისებური; ღეროები, ფოთლები და ყვავილები შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს; გამოიყენება ტყავის წარმოებაში.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, ვაკეებსა და ფერდობებზე – მთის შუა სარტყლამდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

*Rhus coriaria*





ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 2-3 მ, ტოტები და ყლორტები — ხშირი ბუსუსით დაფარული, ფოთლები — ყლორტებზე რიგ-რიგად გაწყობილი, ფოთოლაკები — ელიფსური ფორმის, ყვავილები — წვრილი, მოყვითალო ან ღია მწვანე, მტევნისებურ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — გაბრტყელებული, ოვალური ფორმის, ბრტყვიალა წითელი, ხორციანი, კურკიანი, მჟავე გემოსი; საკვებად ვარგისი, გამოიყენება კულინარიაში.

საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან — ზღ. დ. 1,000 მ-მდე.

*Pistacia mutica*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 5-15 მ, ვარჯი — გაშლილი ან ნახევარსფეროსებური; ფოთლები — ფრთისებური, ხეშეში; ფოთოლაკი — კვერცხისებური ან მოგრძო ლანცეტური, კიდემთლიანი; ყვავილები — მდედრობითი (ბუტკოიანი) და მამრობითი (მტკრიანიანი) — სხვადასხვა ხეზე ვითარდება; ნაყოფი — კურკიანი, ტყავისებური, საკვებად ვარგისი; მერქანი — მკვრივი, გამძლე, შეიცავს ფისს (საკმელს).

გავრცელებულია აღმოს. საქართველოს ბარში, ზღ. დ. 600-650 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

შეტანილია საქართველოს "წითელ წიგნსა" (1982 წ.) და "წითელ ნუსხაში" (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).



*Ilex colchica*



მარადმწვანე ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 8 მ-მდე, ღერო — მუქი მონაცრისფრო, ყლორტები — მომწვანო ქერქით დაფარული; მერქანი მკვრივი, დრეკადი; ფოთლები — მოკლევუნწიანი, კვერცხისებური ან ელიფსური, რიგ-რიგად, ზოგჯერ მოპირისპირედ განლაგებული, ბასრად დაკბილული კიდეებით; ყვავილები — თეთრი, ქოლგა ან მტევნისებურ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — მუქი მოწითალო, სამწახნაგოვანი კურკა.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

*Hedera helix*



მარადმწვანე, მხოხავი ბუჩქი, ხეებზე ასული ან მიწაზე გართხმული, წვრილი, მოსაკიდი ფეხებით; სიმაღლე – 20 მ-მდე, ფოთლები – 3-5-ნაკვთიანი, სხივიანი ბეწვებით მოფენილი, კვერცხისებური ან რომბულ-კვერცხისებური; ყვავილები – პატარა, მომწვანო-მოყვითალო, მსხმოიარე ტოტებზე მტევნისებურ 5-12 ქოლგად შეკრული; ნაყოფი – შავი ფერის, 2-4-თესლიანი.

გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Periploca graeca*




მარადმწვანე ლიანა ბუჩქი, ხვიარა ყლორტებით; სიმაღლე – 12 მ-მდე, ფოთლები – მოკლეყუნჩიანი, შიშველი, პრიალა, მწვანე, კიდემთლიანი, ბლაგვწვერიანი ან მახვილწვერიანი; კვერცხისებურ-ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა ფორმის; ფოთლურა – ცილინდრული ფორმის, ბოლოწაწვეტებული; ყვავილელი – ნახევარქოლგებად შეკრებილი, მომწვანო ფერის; თესლი – ბრტყელი, წვერზე ორი ბეწვისგან შექმნილი ქორჩით.

საქართველოში გავრცელებულია, ძირითადად, კოლხეთის ტენიან ტყეებში, ზღ. დ. 1,500 მ-მდე. გვხვდება აღმ. საქართველოს ჭალებშიც.



*Berberis vulgaris*





ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 3 მ-მდე, ტოტები — ეკლიანი, ფოთოლი — წვრილი, თხელი, ელიფსური ან მოგრძო ლანცეტური, კიდედაკბილული; ყვავილები — წვრილი, ყვითელი, დაკიდულ, მტევნისებურ ყვავილედებად შეკრებილი; ნაყოფი — წვრილი წითელი ან ყვითელი ფერის, კენკრისებური. გამოიყენება კულინარიაში; ნაყოფისაგან ამზადებენ საწებელს.

გავრცელებულია საქართველოში თითქმის ყველგან — მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Betula medwedewii*



ფოთოლმცვივანი დაბალი ხე, ნახევრად გართხმული; სიმაღლე – 15–20 მ, ღეროები – 15 მ-მდე სიგრძის, ზედაპირიდან 2–4 მ-ზე წამოწეული; ყლორტები – შედარებით მსხვილი, უხეში, მახვილი კუთხით დატოტვილი; ქერქი – ღია მოვარდისფრო, რუხი, იშვიათად – მოთეთრო; ფოთლები – დიდი ზომის, შედარებით ხეშეში, მომრგვალო, ელიფსური ან კვერცხისებურ-ელიფსური, მოკლედ წაწვეტებული წვერით, კიდეებზე ფართო და მოკლე ხერხკბილა, ქვემოდან შებუსული; ფოთლის ყუნწები – შებუსული; ნაყოფი – მჭადა, შებუსულყუნწიანი, წაგრძელებული, სანაყოფე ქერცლებით; ნაყოფის ფრთები – აპკისებური.

გავრცელებულია დას. საქართველოში, ძირითადად – აჭარასა და გურიაში, ზღ. დ. 1,900–2,250 მ სიმაღლის სართყელში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).


*Betula megrelica*



ფოთოლმცვივანი, ტანდაბალი, ნახევრად გართხმული ხე; სიმაღლე – 10 მ-მდე, ვარჯი – ძირითადად, მახვილ კუთხეებად დატოტვილი; ფოთლები – მოკლესუნწიანი, კვერცხისებური, წვერისაკენ შევიწროებული, წვეტიანი ან ოდნავ წაწვეტებული, ქვედა მხრიდან შებუსუსული, ფოთლის ფირფიტის ზედაპირი წვრილი, მოშავო ჯირკვლებით მოფენილი; ნაყოფიანი მჭადა – შედარებით ვიწრო, მოკლე, სანაყოფე ქერქით; ნაყოფი – ვიწროფრთიანი.

გავრცელებულია სამეგრელოში, კირქვიან სუბსტრატზე, ზღ. დ. 1,300-2,000 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Betula litwinowii*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 15-18 მ, მთავარი ღერო — მოთეთრო, ხშირ შემთხვევაში — მრუდე; ფოთოლი — კვერცხისებური ან ოვალური, რომბისებური, მახვილწვერიანი; ფოთლებისაგან იღებენ საღებავს, კვირტები სამკურნალო დანიშნულებისაა; ყვავილები — მდედრობითი და მამრობითი, ცალ-ცალკე მჭადა ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — პატარა, ბრტყელი კაკალი, ორი აპკისებური ფრთით.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, ძირითადად — ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში.

აქვს სამკურნალო დანიშნულება. ფოთლებიდან მზადდება საღებავი. დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.




*Betula raddeana*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 8–14 მ-მდე, ღერო — მოთეთრო ან მოვარდისფრო, რუხი ფერის ქერქით დაფარული; ახალგაზრდა ყლორტები — ოსპისებური ჯირკვლებით შებუსული; ფოთლები — კვერცხისებური ან კვერცხისებურ-ელიფსური, შედარებით პატარა ზომის, სქლად შებუსული ყუნწით; ნაყოფიანი მჭადა — მოკლე, შებუსული ყუნწით, სწორად მდგომი ან გადახრილი, ოვალური ფორმის; ნაყოფი — კაკალი, ფართო უკუკვერცხისებური, ფრთები — კაკალზე ვიწრო;

გავრცელებულია აღმ. საქართველოში, მდინარეების — დიდი ლიახვის, არაგვის, თერგის — აუზების ზემო წელსა და თუშეთში, ზღ. დ. 1,700 მ-ზე მაღლა.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Corylus iberica*


# დათვის თხილი (თხილი ქართული) *Corylus iberica*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე 30-50 მ, ვარჯი — პირამიდული, ღერო — ფირფიტებად დამსკდარი, რუხი ფერის ქერქით დაფარული; მერქანი — წვრილშრიანი, ლამაზი, მოწითალო ფერის; ფოთლები — დიდი ზომის, გრძელყუნწიანი, კიდეებზე მობლაგვო ან მომრგვალო კბილებით; ნაყოფი — კაკალი, ტყავისებური, ძირში დანაოჭებული.

საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან — ზღ.დ. 1,800 მ-მდე, ძირითადად — ფოთლოვან ტყეებში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.


*Corylus avellana*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე – 2-6 მ-მდე, მერქანი – თეთრი, მოვარდისფრო, მჩატე და დრეკადი; ფოთოლი – მოკლეყუნწიანი, მომრგვალო ან უკუკვერცხისებური, არათანაბრად დაკბილული კიდეებით; ყვავილები – ცალსქესიანი, ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – მომრგვალო კაკალი, ღია მწვანე საბურველით ნახევრად დაფარული, საკვებად ვარგისი, გამოიყენება საკონდიტრო საქმეში.

გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში – სუბალპურ ზონამდე.



*Alnus barbata*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 30–38 მ, ვარჯი — დიდი, გაშლილი; მთავარი ღეროს ქერქი — რუხი, დამსკდარი; ფოთოლი — ყუნწიანი, ფართო, ოვალური ან უკუკვერცხისებური, კიდეებზე ხერხისებურად დაკბილული; ყვავილები — ცალსქესიანი, ყვავილედად შეკრული; მამრობითი ყვავილი ყლორტის ზედა ნაწილში, ყლორტის ფუძესთან განლაგებული; ნაყოფი — ორი ფრთით აღჭურვილი წვრილი კაკალი.

გავრცელებულია საქართველოში ყველგან, ჯავახეთის გარდა, ზღ. დონიდან 1,500 მ-მდე.


*Alnus incana*



საშუალო სიდიდის (6–15 მ სიმაღლის) ფოთოლმცვივანი ხე ან ბუჩქი. მომრგვალებული ან კვერცხისებურ-წაგრძელებული; პრილა, ნაცარა ფოთლები, ოვალური ან მომრგვალო-კვერცხისებური, 4–10 სმ სიგრძისა და 4–7 სმ სიგანის; ყვავილები სხვადასხვასქესიანია; ნაყოფი ბრტყელი, ერთთესლიანი კაკლებია.

მცენარე შეიცავს გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს, ალკალოიდებსა და ფლავონოიდებს. გირჩების წყლიან ნაყენსა და სპირტულ გამონაწურს იყენებენ, როგორც კუჭის შემკვრელ და სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებას.

გავრცელებულია მთელ საქართველოში – ტყის შუა და ზედა სარტყლებში.

*Buxus colchica*



მარადმწვანე ხე, სიმაღლე – 10-18 მ, ვარჯი – ხშირტოტიანი, მერქანი – ღია მოყვითალო, მკვრივი, მაგარი; ფოთლები – მუქი მწვანე, მოკლევუნწიანი, ტყავისებური, კვერცხისებური ფორმის, ტოტებზე მოპირისპირედ განლაგებული; ყვავილები – მომწვანო ყვითელი, ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – სამბუდიანი კოლოფი, თითო ბუდეში ორი მომრგვალო თესლით.

გავრცელებულია, ძირითადად, დას. საქართველოში, აგრეთვე ბორჯომის ხეობაში, მდ. მდ. ქსნისა და ლიახვის ხეობებში, საგურამოს ქედზე და კახეთში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006).

IUCN-ის კატეგორია: გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (CR).

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Sambucus nigra*




ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 3–6 მ, ტოტები — ფართო და თეთრი, რბილი შუაგულით; ფოთლები — კვერცხისებური ან კვერცხისებურ-ლანცეტა ფორმის, 3–7-ფოთოლაკიანი, კიდეებზე ხერხკბილა, ზედა მხარეზე თითქმის შიშველი; ყვავილები — თეთრი ან ყვითელი, 5-ტოტიან ფარისებურ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — სფეროსებური, იისფერი, მუქი წითელი, თეთრი ან ყვითელი, წვნიანი, ზურგზე კვერცხისებური ფორმის 3 ყავისფერი ამობურცული თესლით.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული მთის შუა სარტყლამდე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ნაყოფისაგან ამზადებენ საღებავს.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.



*Viburnum lantana*




ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 2-3 მ, ღერო და ტოტები — მონაცრისფრო ან მოყვითალო, რბილი და სქელი ქერქით დაფარული; მერქანი — მაგარი და დრეკადი, ფოთლები — კვერცხისებური, კიდეებზე დაკბილული, მოკლე ყუნწით; ყვავილები — წვრილი, თეთრი, ორსქესიანი, ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი (დამწიფებული) — შავი, კვერცხისებური, ერთი მომრგვალო ფორმის თესლით.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული — ზღ. დ. 2,000 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

*Lonicera caprifolium*






ძლიერ დატოტვილი, სწორად მდგომი ხვიარა ბუჩქი; სიმაღლე 0.5-2 მ-მდე; ტოტები — გაფარჩხული, ყვითელ-მონაცრისფრო ქერქით დაფარული; მერქანი — ლამაზი, მომწვანო-მოყვითალო, ძალიან მკვრივი; ფოთლები — მუქი მონაცრისფრო ან მწვანე, კვერცხისებური ან მომრგვალო კვერცხისებური, მოკლე წაწვეტებული ან ბლაგვი წვერით; ყვავილები — ხშირბუსუსიანი, ფოთლის ილღიებში წყვილ-წყვილად გაწყობილი; ნაყოფი — ნახევრად შეზრდილი წყვილი კენკრა, კაშკაშა წითელი ფერის.

გავრცელებულია, ძირითადად, აღმ. საქართველოში ტყის შუა სარტყლამდე.

თაფლოვანია, ფოთლებისა და ნაყოფისაგან ამზადებენ საღებავს. გამოიყენება ფერდობების ეროზიისაგან დასაცავად.

*Viburnum opulus*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 3-4 მ, ღერო — მოყავისფრო-ნაცრისფერი შიშველი ტოტებით; ფოთოლი — მოკლეყუნჩიანი, სამნაკვთიანი, კიდეებზე დაკბილული, ყუნჩის ძირში ორი მსხვილი ჯირკვლით; ყვავილები — ფარისებურ ყვავილედად შეკრული, მოთეთრო, ორსქესიანი; ნაყოფი — ოვალური ფორმის, მოწითალო, ერთთესლიანი, წვნიანი, საკვებად ვარგისი.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული — ზღ. დ. 1,600-1,700 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Celtis caucasica*








ფოთოლმცვივანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე – 10–20 მ, ვარჯი – მჭიდრო, ქოლგისებური; ღერო და ტოტები – გლუვი, ფოთოლი – კვერცხისებური, ხეშეში, კიდეებზე ხერხისებურად დაკბილული, წვერში წაწვეტებული; ყვავილები – მომწვანო, ნაყოფი – მოწითალო-ყვითელი, კურკიანი, საკვებად ვარგისი.

გავრცელებულია აღმ. საქართველოში, ზღ. დ. 1,800 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში“ (1982).

დეკორატიულია. გამოიყენება ფერდობების გასამწვანებლად.

*Celtis australis*



ფოთოლმცვივანი ხე, იშვიათად – ბუჩქი; სიმაღლე – 15 მ-მდე, ფოთლები – ყუნწიანი, მაგარი, სიფრიფანა, ტყავისებური, მუქი ლეგა, მწვანე, გრძლად თავწაწვეტებული, კვერცხისებური, ორივე მხარეზე შებუსული, კიდეებზე ხერხისებრ დაკბილული; ყვავილები – გრძელყუნწიანი, მეტწილად ორსქესიანი, ფოთლების ილლიებში განლაგებული; ყვავილსაფარი – კიდეებზე წამწამებიანი, 4-6 ნაკვთად გაყოფილი; ნაყოფი – სფეროსებური შავი კურკა, ბადისებრ დანაოჭებული, შებუსული ყუნწით.

გავრცელებულია მხოლოდ დას. საქართველოში – ზღ. დ. 700 მ სიმაღლემდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Celtis glabrata*




ფოთოლმცვივანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე — 5 მ-მდე, ფოთოლი — გრძელი, სიფრიფანა ან ტყავისებური, არათანაბარგვერდიანი, კვერცხისებური ან კვერცხისებურ-რომბული, მოკლე წვეტიანი, ორივე მხარეზე შიშველი, ქვემოდან — მოყვითალო მწვანე, კიდებზე ნამგლისებურკბილიანი, ფოთლის ყუნწი შიშველი; ნაყოფი — სფეროსებური, ნარინჯისფერ-ყვითელი, შიშველი ყუნწით და წვრილი, ნაოჭიანი კურკით.

გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად — მშრალ და კლდოვან ადგილებში, ზღ. დ. 1,700 მ-მდე

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).



*Cistus salviifolius*



ფოთოლმცვივანი დატოტვილი ბუჩქი, სიმაღლე – 2 მ-მდე, ვარჯი – სწორად მდგომი ან გართხმული, ცილინდრული ტოტებით; ფოთლები – მონაცრისფრო მწვანე, კვერცხისებური ან მოგრძო ელიფსური, კიდეებზე ტალღისებური, ბადისებურ-ნაოჭიანი ბეწვებით შებუსული; ყვავილები – ვარდისფერ-მოთეთრო, მარტომყოფი ან 2-3-ყვავილიანი, ნაყოფი – ოვალური კოლოფი, მატყლისებური ბეწვით მოფენილი, წვრილი, კუთხოვანი ან გლუვი, ყავისფერი თესლით.

ძირითადად გავრცელებულია შავი ზღვის სანაპირო ტყეებში, ასევე მშრალ, ღორღიან ადგილებში.

ღერო შეიცავს არომატულ ზეთისებურ წვენს, ფოთლები – მთრიმლავ ნივთიერებებს. გამოიყენება მედიცინაში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.



*Swida australis*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 2-4 მ-მდე, ვარჯი — გაშლილი, დატოტვილი; ღერო — მუქი მწვანე ან ღია ნაცრისფერი, დამსკდარი ქერქით დაფარული; ფოთლები — მწვანეყუნწიანი, ფართო, კვერცხისებური ან მომრგვალო, წვერში მოკლეწვეტიანი; ყვავილედ — მრავალყვავილიან ქოლგებად შეკრული, თეთრი და მოწითალო ბეწვით მოფენილი; ნაყოფი — კურკა, მოშავო, მომრგვალო ფორმის, წვერსა და ბოლოში ოდნავ შებრტყელებული.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, ძირითადად — მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

ნაყოფისაგან იღებენ საღებავს.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.


*Cornus mas*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 8-9 მ-მდე, ღერო — მუქი ნაცრისფერი, მერქანი — მკვრივი, დრეკადი; ფოთლები — კვერცხისებური ან ელიფსური, მოკლეყუნწიანი; ყვავილები — ყვითელი, ქოლგისებურ ყვავილედად შეკრული; ნაყოფი — ერთთესლიანი, კურკიანი, ვარდისფერი ან წითელი, მომრგვალო, ელიფსური ან ცილინდრული ფორმის, წვნიანი, საკვებად ვარგისი.

გავრცელებულია საქართველოში თითქმის ყველგან — ზღ. დ. 1,300 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Carpinus caucasica*

## გავრცელების არეალი



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 20-35 მ, ვარჯი — ხშირტოტიანი, ფოთლები — ელიფსური ფორმის, ყუნწიანი; ყვავილები — ყვავილედებად შეკრული; მდებრობითი ყვავილები ყვავილედის კენწეროზე წყვილ-წყვილად მჯდომარე, მამრობითი ყვავილები — ყვავილედის ფუძეში; ნაყოფი — კვერცხისებური ფორმის, წიბოებიანი კაკალი.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული — მთის ქვედა და შუა სარტყლებში.



*Ostrya carpinifolia*






ფოთოლმცვივანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე — 15-20 მ, ვარჯი — ხშირი, ოდნავ დაწეული ტოტებით; ღერო — გრძელ ბოლებად აქერცლილი ქერქით დაფარული; მერქანი — მაგარი, გამძლე; ფოთლები — მოგრძო კვერცხისებური, ორმაგად კიდედაკბილული; ყვავილები — ცალსქესიანი, მომწვანო ფერის, ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — ჯგუფ-ჯგუფად ტოტებზე ჩამოკიდებული, ერთთესლიანი კაკლუჭი, მჩხვლეთავი, ბეწვიანი საბურველით დაფარული.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი) და შიდა ქართლში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN).

*Carpinus orientalis*



ფოთოლმცვივანი დაბალი ხე ან ტანმაღალი ბუჩქი, სიმაღლე — 8-12 მ, ღეროები — ხშირ შემთხვევაში დაბურცული; ფოთოლი — მოკლეყუნწიანი, წვრილი, კიდეებზე ბასრხერხკბილა, ტოტებზე რიგ-რიგად გაწყობილი; ყვავილები მოთავსებულია მოგრძო ყვავილედებში, რომელთა საბურველი მთლიანია ან ოდნავ დანაკვთული; ნაყოფი — ერთთესლიანი, წიბოებიანი კაკალი.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

*Diospyros lotus*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 25 მ-მდე, ვარჯი — მომრგვალო ან პირამიდული, ღერო — მუქი ნაცრისფერი, ტოტები — ღია ყავისფერი, ფოთოლი — მოკლე, ტყავისებური, შებუსულყუნჩიანი, წაწვეტებული, მოგრძო კვერცხისებური; ყვავილები — მამრობითი და მდედრობითი, მომწვანო-მოწითალო, მარტომყოფი ან 2-3 ერთად მსხდომარე; ნაყოფი — ხორციანი კენკრა, ნახევარმთვარის ფორმის, 2-8 თესლით; შეიცავს გლუკოზასა და ფრუქტოზას; საკვებად ვარგისი.

ველურად გავრცელებულია, ძირითადად, დას. საქართველოში, იშვიათად, შიდა ქართლსა და კახეთში — ზღ. დ. 1,500 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში” (1982).

*Hippophae rhamnoides*



ფოთლოვანი ბუჩქი, იშვიათად — ხე; სიმაღლე — 3–6 მ, ვარჯი — გაშლილი, ძლიერ დატოტვილი; ტოტები — მონაცრისფრო, ეკლიანი; ფოთლები — თითქმის მკდომარე, ლანცეტური, იშვიათად — რკალისებური; ყვავილები — ცალსქესიანი, მდებრობითი — მარტომყოფი, მამრობითი — ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — ოვალური ფორმის, ყვითელი ან მოწითალო, კურკიანი, წვნიანი, ხორციანი, ტოტებზე მიჯრით განლაგებული; შეიცავს ზეთს, გამოიყენება მედიცინაში, თაფლოვანია.

გავრცელებულია მთელ საქართველოში, ძირითადად — მდინარეთა ნაპირების გასწვრივ.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში” (1982).



*Elaeagnus angustifolia*



ფოთოლმცვივანი უეკლო ან ეკლიანი ხე, სიმაღლე — 5–8 მ, ღერო — მოწითალო მურა, ოდნავ ნაოჭიანი ქერქით დაფარული; ტოტები — თეთრი, მოვერცხლისფრო ქერქით დაფარული; ფოთლები — დიდი ზომის, მონაცრისფრო-მწვანე, ზოგჯერ ორივე მხრიდან მოთეთრო, ლანცეტა ან ელიფსურ-ლანცეტა ფორმის; ყვავილები — მოკლე ყუნწებზე ფოთლების იღლიებში განლაგებული, ვერცხლისფერი, მოთეთრო; ნაყოფი — საკვებად ვარგისია, მდიდარია ვიტამინებით, იყენებენ კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ, თაფლოვანია, ხშირად აშენებენ ხეხილად.

ძირითადად გავრცელებულია შიდა ქართლში, კახეთსა და ქვემო ქართლში, იშვიათად — აფხაზეთსა და მესხეთში.

*Rhododendron caucasicum*



მარადმწვანე ბუჩქი, სიმაღლე – 1,5 მ, გართხმული და წამოწეული ღეროებით, ფოთოლი – ტყავისებური, მოყვითალო-ჟანგისფერი, მოგრძო ოვალური; ყვავილები – მოვარდისფრო, თეთრი ან მომწვანო-მოყვითალო, ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – ჟანგისფერი ბეწვით შებუსუსული კოლოფი მრავალი წვრილი თესლით.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული – ზღ. დ. 1,600-3,000 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Rhododendron luteum*






ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 1-2 მ, ღეროები — სწორად მდგომი, ფოთოლი — თხელი, რბილი ბეწვით დაფარული, იშვიათად — შიშველი, მოგრძო, ლანცეტური ან მომრგვალო, კვერცხისებური; ყვავილები — ყვითელი, ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — დაღარული კოლოფი, მრავალი წვრილი თესლით.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, სუბალპური სარტყლის ჩათვლით.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Arbutus andrachne*



# ხემარწყვა წვრილნაყოფა *Arbutus andrachne*



მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, სიმაღლე – 6–10 მ, ღერო – მოწითალო ქერქით დაფარული, ფოთლები – ელიფსური ან კვერცხისებური, ყვავილები – წვრილი, თეთრი, მტევან ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – კენკრა, მრგვალი, მომწვანო-ნარინჯისფერი, საკვებად ვარგისი.

გავრცელებულია აფხაზეთსა და აჭარაში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN).

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Halimodendron halodendron*




ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 2-3 მ, ღეროები — ძლიერ დატოტვილი, ფოთოლი — რთული, უკულანცეტური ან ნიჩბისებური, კიდემთლიანი, ეკლიანი წვერი, 2-5 ფოთოლაკისაგან შედგენილი; ყვავილები — ვარდისფერი ან თეთრი, მტევან ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — პარკი, წვეტიანი, მოყვითალო, თირკმლისებური ყავისფერი თესლით.

გავრცელებულია კახეთში (გარეჯისა და ნათლისმცემლის მონასტრის მიდამოებში).

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი (EN).

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Quercus macranthera*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 20-28 მ, ვარჯი — გაშლილი, მთავარი ღერო — მოკლე, მასიური; ფოთოლი — ტყავისებური, მკვრივი, უკუკვერცხისებური ფორმის, მოკლევუნწიანი, ზემოდან მუქი მწვანე, ღრმად დანაკვთული; ნაყოფი — მოკლევუნწიანი, 3-5 რკო, ერთად მჯდომი.

გავრცელებულია სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და აღმ. საქართველოს მთიან მხარეებში — ზღ. დ. 1,700-2,400 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Quercus imeretina*




ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-30 მ, ვარჯი – გაშლილი, ფოთლები – მწვანე, მოკლევუნწიანი, უკუკვერცხისებური ფორმის; ნაყოფი – რკო გრძელყუნწიან, ცილინდრული ფორმის ბუდეში ჩამჯდარი.

გავრცელებულია დას. საქართველოში, ზღ. დ. 300 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).



*Quercus pontica*




ფოთოლმცვივანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე – 5-12 მ, ღერო და ტოტები – ხშირ შემთხვევაში მიწაზეა გართხმული, ფოთოლი – კვერცხისებური ფორმის, წაგრძელებული; ნაყოფი – რკო, მოკლევუნწიან ჯამისებურ ბუდეში ჩამჯდარი.

გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Quercus iberica*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-40 მ, მერქანი – მკვრივი, გამძლე; ფოთოლი – ხეშეში, ტყავისებური, პრიალა, უკუკვერცხისებური ან მოგრძო ფორმის, ღრმად დანაკვთული; ნაყოფი – ჯამისებურ ბუდეში მოთავსებული, ერთი ან რამდენიმე რკო, უყუნწოდ ან მოკლე ყუნწით შეკრული. რკოსაგან ამზადებენ ყავის სუროგატს.

გამოიყენება მშრალი ფერდობების გატყიანებისათვის.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული – ზღ. დ. 1,200-1,600 მ-მდე.

*Quercus pedunculiflora*

მუხა ჭალის (გრძელყუნწა)

*Quercus pedunculiflora*




ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-30 მ, ვარჯი – გაშლილი, ფოთლები – ტყავისებური, მაგარი, ბლაგვად დანაკვთული; ნაყოფი – ცილინდრული ფორმის რკო (ცალ-ცალკე ბუდეში მოთავსებული 1-დან 3 ცალამდე).

გავრცელებულია, ძირითადად, აღმ. საქართველოს ჭალისა და მიმდებარე დაბალი ვაკეების ტერიტორიებზე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

*Quercus hartwissiana*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 25–30 მ, ვარჯი – გაშლილი, ფოთლები – უკუკვერცხისებური ფორმის, პრიალა, ბლაგვი; ნაყოფი – მოგრძო რკო, მოკლე, ცილინდრული ფორმის ბუდეებში ცალ-ცალკე მოთავსებული რამდენიმე ცალი.

გავრცელებულია დას. საქართველოში, ზღ. დ. 1,200 მ-მდე; გვხვდება კახეთშიც (ბაბანური).

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Castanea sativa*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 30 მ-მდე, ვარჯი — დიდი, გაშლილი; ფოთლები — დიდი, მოკლევუნწიანი, ლანცეტისებური ფორმის, ბასრად დაკბილული, წაწვეტებული წვერით; ნაყოფი — ტყავისებური ქერქის მქონე კაკალი, თითო საბურველში 1-3 კაკალი.

გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, აჭარაში, შიდა ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში (ბორჯომის ხეობა) — ზღ. დ. 1,500 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Fagus orientalis*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 40-50 მ-მდე, ვარჯი — დიდი, გაშლილი; მერქანი — უგულო, მკვრივი, მაგარი; ფოთლები — ელიფსური ან უკუკვერცხისებური, წვერში წაწვეტებული, ზედა მხარეზე შიშველი, ქვედაზე — შებუსული, კიდეებზე მთლიანი, იშვიათად — დაკბილული; ყვავილები — ყვავილედებად შეკრული, ნაყოფი — სამწახნაგოვანი კაკალი, 1-2 ან 2-4 თესლით შეიცავს ზეთს, მოხალული გამოიყენება საკვებად.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, ზღ. დ. 2,100-2,300 მ-ის სიმაღლემდე.

*Ribes alpinum*






ფოთოლმცვივანი უეკლო ბუჩქი, სიმაღლე – 1-3 მ-მდე, ტოტები – რუხი ფერის, ფოთლები – მომრგვალო ან კვერცხისებური, 3 ან 5-ნაკვთიანი, ზედა მხარეზე – მწვანე, ჯირკვლიანი ბეწვით შებუსული, ქვედა მხარეზე – შიშველი; ყვავილები – ერთსქესიანი, მრავალყვავილიან სწორად მდგომ მტევნებად შეკრული; ნაყოფი – შიშველი კენკრა, კაშკაშა წითელი, ყვითელი ან მოშავო.

გავრცელებულია მთის შუა, ზედა სარტყელსა და სუბალპურ ზონაში.

კენკრა გამოიყენება სამკურნალოდ და საკვებად.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.



*Juglans regia*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 30-35 მ, ვარჯი – დიდი, მომრგვალო; ფოთოლი – რთული, 3-5 ფოთოლაკისაგან შედგენილი; ფოთოლაკი – ოვალური, კვერცხისებური ან უკუკვერცხისებური; მამრობითი ყვავილი – გრძელ, მწვანე ყვავილედებს ქმნის; ნაყოფი – კურკიანი, მწვანე-მოყვითალო გარსით დაფარული, 1-2-ლებნიანი თესლით, შეიცავს 60-70% საკვებ ზეთს.

საქართველოში გავრცელებულია ყველგან, შეზღუდული რაოდენობით – ზღ. დ. 1,500-1,700 მ-მდე.

ფოთლები და ქერქი შეიცავს საღებავ და მთრიმლავ ნივთიერებებს.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

*Pterocarya pterocarpa*

# ლაფანი ფრთანაყოფიანი *Pterocarya pterocarpa*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 30–35 მ, ღეროს ქერქი — მოთეთრო, მონაცრისფრო, შეიცავს საღებავ ნივთიერებებს; ფოთოლი — 6–12 წყვილისაგან შედგენილი მოგრძო კვერცხისებური ფორმის, წაწვეტებული წვერის მქონე მჯდომარე ფოთოლაკით; ნაყოფი — კაკალი ორი სიფრიფანა ფრთით.

გავრცელებულია დას. საქართველოში, ასევე კახეთში, ზღ. დ. 500–800 მ-ის სიმაღლემდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Laurus nobilis*



მარადმწვანე, ხეშეშფოთლიანი ხე ან ბუჩქი; სიმაღლე – 2-12 მ-მდე, მერქანი – მძიმე, დრეკადი; ფოთლები – ტყავისებური, კიდემთლიანი, რიგ-რიგად ან მოპირისპირედ განლაგებული, სურნელოვანი ზეთის გამომყოფი ჯირკვლებით; ყვავილსაფარის ფოთლები – მომწვანო, მოყვითალო, ჯამისებურად ან ორ წრედ განლაგებული; ყვავილები – პატარა ზომის, ქოლგისებურ ან მტევნისებურ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – წვნიანი კენკრა. გამოიყენება კულინარიაში.

გაველურებული სახით გავრცელებულია იმერეთსა და სამეგრელოში – ზღ. დ. 300 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.



*Viscum album*






მარადმწვანე პარაზიტი ბუჩქი, სიმაღლე 0.5–0.6 მ, იზრდება სხვა მერქნიანი მცენარეების ღეროსა და ტოტებზე; ტოტები – მოყვითალო-მწვანე, ორკაპად დატოტვილი, ადვილად მტვრევადი; ფოთლები – მწვანე, მსხვილი, ელიფსური ფორმის, ხორციანი, პრიალა, ტოტებზე საპირისპიროდ განლაგებული, ორგანული ნივთიერებებით მდიდარი, ყვავილები – 5–6 ერთად მოთავსებული ორკაპას შორის, როგორც კენწეროზე, ისე გვერდით ტოტებზე; ნაყოფი – კენკრა, თეთრი, სფეროსებური.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული – მთის შუა სარტყლამდე.

*Fraxinus excelsior*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 30-40 მ, ღერო – ნაცრისფერი, მოთეთრო მეჭეჭებით მოფენილი ტოტებით; ფოთოლი – ფრთისებური, კვერცხისებური, მჯდომარე ან თითქმის მჯდომარე, კიდებზე ხერხისებურად დაკბილული, 9-13 ფოთოლაკისაგან შედგენილი; ყვავილები – იისფერი, მტევნისებურ ყვავილედებად შეკრებილი; ნაყოფი – ფრთიანი, ოვალური ფორმის თესლით.

გავრცელებულია საქართველოში თითქმის ყველგან – მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Ligustrum vulgare*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 4 მ-მდე, ღერო — მომწვანო-ნაცრისფერი ქერქით დაფარული, მერქანი — მკვრივი, დრეკადი; ფოთლები — მუქი მწვანე, ლანცეტური ან მოგრძო ელიფსური, კიდემთლიანი; ყვავილები — თეთრი, წვრილი, სწორად მდგომ ყვავილედად შეკრული; ნაყოფი — კენკრა, შავი, მრგვალი, ორბუდიანი, თითოეულ ბუდეში 1-2 თესლით.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული — მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Punica granatum*

გავრცელების არეალი



ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 1-5 მ, ღეროები — მოყვითალო-მურა, ტოტები — ნაცრისფერი, მეტწილად ეკლით დაბოლოებული; ფოთლები — გრძელი, ელიფსური ან კვერცხისებური, კიდემთლიანი, ბლაგვწვერიანი ან წაწვეტებულწვერიანი; ყვავილები — ფოთლის უბეში მსხდომი, მარტომყოფი ან 3-5 ერთად; ყვავილედის ჯამი — მეწამული ფერისა და ზარისებური ფორმის, 3-5-ნაკვთიანი, კაშკაშა წითელი, იშვიათად — ყვითელი ან თეთრი; ნაყოფი — მეწამული, წითელი, მრგვალი ან შებრტყელებულ-მომრგვალო, აპკისებური ტოტებით ბუდეებად დაყოფილი, მრგვალი, წვნიანი თესლით.

იზრდება დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყელში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში“ (1982).



*Rhamnus cathartica*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 1.5–3 მ-მდე, ღერო — თითქმის შავი ფერის, ხორკლიანი, დახეთქილი ქერქით დაფარული; ტოტები — მოპირდაპირედ გაწყობილი ეკლებით დაბოლოებული; ფოთლები — მომწვანო-მოყვითალო, ელიფსური ან კვერცხისებური, მოპირდაპირედ ან რიგ-რიგად გაწყობილი, ზოგჯერ კონებად შეკრული, მოკლე, ბლაგვი ან მახვილი წვერით, კიდებზე წვრილხერხკბილა; ყვავილები — მომწვანო ყვითელი, ილლიურ კონებად შეკრული; ნაყოფი — შავი, ნახევრად წვნიანი კურკა.

ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

ხეშავის ნაყოფი გამოიყენება მედიცინაში.

*Rhamnus pallasii*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 1.5–2 მ, ვარჯი — გაშლილი, ტოტები — ეკლიანი, ფოთლები — ვიწრო ხაზური ან ხაზურ-ლანცეტური, კიდეებზე ხერხისებრ დაკბილული, ტოტებზე მოწითალო ყავისფერი, ეკლიანი, ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული; ყვავილები — მამრობითი და მდედრობითი, სხვადასხვა ბუჩქზე განლაგებული; ნაყოფი — წვნიანი, კურკიანი, მოშავო, უკუკვერცხისებური ფორმის, 2–4 თესლით.

გავრცელებულია აღმ. საქართველოში — მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

*Paliurus spina-christi*





ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 1-3 მ, ვარჯი — მეჩხერი, მოკაუჭებული, მხვლეტავი ეკლებით; ყლორტებისა და ტოტების მუხლებზე წყვილი, ოდნავ მოკაკული მხვლეტავი ეკლებით; ფოთლები — მოკლეყუნწიანი, ხეშეში, პრიალა, მომრგვალო ან კვერცხისებური ფორმის, კიდემთლიანი, ზოგ შემთხვევაში — კიდედაკბილული; ყვავილედ — წვრილი, ყვითელი ფერის, მტევნისებურ ყვავილედებში მოთავსებული; ნაყოფი — ღილის ფორმის, სამბუდიანი, მშრალი, ფრთიანი.

საქართველოში ყველგან გვხვდება მშრალ, ხრიოკ ადგილებში — ზღ. დ. 1,800 მ-მდე.



*Rosa canina*






ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე – 2 მ-მდე, ტოტები – რკალისებურად მოხრილი, წყვილ-წყვილად განლაგებული ნამგლის ფორმის ეკლებით; ფოთოლი – რთული, კიდებზე დაკბილული, შედგენილი ერთი ფოთოლაკისაგან; ყვავილი – წითელი, ყვითელი ან თეთრი, მარტომყოფი ან ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – ელიფსური, წითელი, ზოგჯერ ბეწვით დაფარული, შეიცავს C ვიტამინს.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული – სუბალპურ სარტყლამდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

*Cerasus silvestris*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-25 მ-მდე, ქერქი – მოშავო, სიგრძეზე დახეთქილი; ფოთლები – მომწვანო, კვერცხისებური ან ელიფსური; ყვავილები – თეთრი ან ვარდისფერი, მრავალყვავილიან ქოლგა ყვავილედებად შეკრებილი; ნაყოფი – მომრგვალო, მუქი წითელი ან შავი, მწარე ან სუსტად მოტკბო, საჭმელად ვარგისი, გამოიყენება ალუბლისა და ბლის სანერგე ძირებად.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული, ძირითადად – ფართოფოთლოვან ტყეებში.

თაფლოვანია.

*Spiraea hypericifolia*




ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე –1-5 მ, ღეროები –  
 ზეაღმართული, შოლტისებური; ფოთოლი – შიშველი,  
 უკუკვერცხისებური ან მოგრძო ელიფსური; ყვავილები –  
 მოყვითალო, თეთრი, ტოტების კენწეროებზე მსხდომარე,  
 ქოლგისებურ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – მშრალი,  
 მარვალნაკვითიანი, მრავალთესლიანი, ფოთლურა.

გავრცელებულია აღმ. საქართველოში ყველგან, ხოლო დას.  
 საქართველოში – ალაგ-ალაგ.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.  
 თაფლოვანია.

*Mespilus germanica*

# ზღმარტლი ჩვეულებრივი *Mespilus germanica*




ფოთოლმცვივანი ეკლიანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 1.5–5 მ, ფოთოლი — მოკლევუნჩიანი, ელიფსური ან მოგრძო ლანცეტური, კიდემთლიანი, იშვიათად — კიდედაკბილული; ყვავილი — თეთრი, ტოტის კენწეროზე მარტო მჯდომარე; ნაყოფი — კურკიანი, ხორციანი, მომრგვალო ან მსხლის ფორმის; ტოტები და ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

შინაური ზღმარტლი ხედ იზრდება, უეკლოა და მსხვილ ნაყოფს ისხამს.



*Cydonia oblonga*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 1.5–5 მ მდე, მთავარი ღერო — თხელი, დახეთქილი ქერქით დაფარული; ფოთლები — კვერცხისებური ან ოვალური, კიდემთლიანი, მახვილი ან ბლაგვი წვერით, ზედა მხარეზე — მუქი მწვანე, შიშველი, ქვედა მხარეზე — მონაცრისფრო-ქერისებური; ყვავილები — მკრთალი ვარდისფერი, მოკლე შებუსულ ყუნწებზე გაწყობილი; ნაყოფი — მწიფობის დროს შიშველი ლიმნისფერი ან მუქი ყვითელი, არათანაბრად გამოსახული წიბოებით.

გავრცელებულია მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

გამოიყენება მსხლისა და ვაშლის სანერგე ძირებად, ნაყოფი — საკვებად.

დეკორატიული და თაფლოვანია.



*Crataegus pentagyna*



ფოთოლმცვივანი ეკლიანი ხე, სიმაღლე – 3–4 მ-მდე; ყლორტები – სქლად შებუსული, ფოთლები – ზედა მხარეზე მუქი მწვანე, პრიალა, სქლად შებუსული, ქვედა მხარეზე – ბუსუსიანი ან შიშველი; ყვავილები – ფარისებურ ან ქოლგისებურ ყვავილედებად შეკრებილი; ნაყოფი – შავი, 1-5-კურკიანი, ხორციანი; კურკა – მომრგვალო, სამწახნაგოვანი.

გავრცელებულია საქართველოში ყველგან – სუბალპურ სარტყლამდე. გამოიყენება საკვებად, საკომპოტედ, ჩაის სუროგატად, ქსოვილების შესაღებად, სამკურნალო საშუალებად, ცოცხალი ღობეების მოსაწყობად, მშრალი ფერდობების გასამაგრებლად.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Malus orientalis*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 10-12 მ, ვარჯი – გაშლილი, ფოთოლი – კვერცხისებური, მოგრძო ელიფსური, წაწვეტილი ან ბლავვი წვერით, ხერხისებურად დაკბილული ზედა კიდით; ყვავილები – თეთრი ან ვარდისფერი, მტევნისებურ ყვავილედებად შეკრებილი; ნაყოფი – მომრგვალო, თავსა და ბოლოში შებრტყელებული; საკვებად ვარგისი. გამოიყენება ჩირის დასამზადებლად.

გავრცელებულია მთელ საქართველოში – მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

თაფლოვანია.

*Cerasus incana*






ფოთოლმცვივანი, ძლიერ დატოტვილი ბუჩქი; სიმაღლე – 1.5-2 მ-მდე, ყლორტები – წვრილი და სწორი, ნაცრისფრად შებუსული; თანაფოთლები – ყუნწებზე დამაგრებული გრძელი, სადგისისებური ფორმის; ფოთლები – მოკლე ყუნწით, მოგრძო ლანცეტა, წვერზე მომრგვალო ან წაწვეტებული, მახვილკბილებიანი კიდით, ზედა მხარეზე შიშველი ან მოკლებეწვიანი, ქვედა მხარეზე თეთრი, ქეჩისებური; ყვავილები – კაშკაშა ვარდისფერი, ტოტებზე 4-5-ყვავილიან ჯგუფებად განლაგებული; ნაყოფი – კურკა, კაშკაშა წითელი, სფეროსებური, მომჟავო-მოტკბო გემოსი, ფართო კვერცხისებური, სიგრძეზე ოდნავ დანაოჭებული.

გავრცელებულია აღმ. საქართველოში.

დეკორატიულია. გამოიყენება მშრალი ფერდობების ეროზიისაგან დასაცავად და ალუბლის საძირედ.

*Amygdalus georgica*




ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე – 1-1.5 მ, ღეროს ქერქი – რუხი, ფოთოლი – გრძელი, ლანცეტური ფორმის, ფუძესთან შევიწროებული, კიდეებზე უთანაბროდ, ხერხისებურად დაკბილული; ყვავილები – კაშკაშა ვარდისფერი, ნაყოფი – კურკიანი, ხშირი და რბილი ბეწვით დაფარული.

გავრცელებულია ქართლსა და კახეთში – მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

საქართველოს ფლორის ენდემური სახეობაა. შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN).

*Pyrus caucasica*




ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-24 მ, ვარჯი – ფართო, პირამიდული; ტოტები – ეკლიანი, ფოთოლი – ხეშეში, მომრგვალო, ფართო კვერცხისებური ან რომბისებური, კიდემთლიანი; ყვავილი – თეთრი, ფარისებურ ყვავილედად შეკრებილი; ნაყოფი – სფეროსებური, წვნიანი, მკვრივი ჩანართებით.

პანტა თაფლოვანი მცენარეა, მწიფე ნაყოფი საკვებად ვარგისია. მისგან ამზადებენ ჩირს.

გავრცელებულია მთელ საქართველოში – მთის ქვედა და შუა სარტყლებში.

*Prunus divaricata*





ფოთოლმცვივანი ხე ან ბუჩქი, სიმაღლე – 10 მ-მდე, ქერქი– მურა ფერის, ტოტები – მრავალრიცხოვანი, მოკლე ეკლებით დაბოლოებული; ფოთლები – ზედა მხარეზე შიშველი, ქვედა მხარეზე შებუსული; კვერცხისებური ან ელიფსური, კიდეებზე ხერხისებრ დაკბილული; ყვავილი – მარტომყოფი, თეთრი ან მოვარდისფრო; ნაყოფი – კურკიანი, წვნიანი, მომრგვალო ან ოვალური, ყვითელი, წითელი, მომწვანო, მოტკბო-მომჟავო, საკვებად ვარგისი.

საქართველოში გავრცელებულია ყველგან, მთის შუა სარტყლამდე.



*Pyracantha coccinea*

## გავრცელების არეალი



მარადმწვანე ბუჩქი, ხშირი და ბასრი ეკლებით; სიმაღლე —1-1,5 მ, ფოთლები — მუქი მწვანე, შემოდგომაზე — მოწითალო, წვრილი, ტყავისებური, მოგრძო ელიფსური, კიდეებზე დაკბილული, ტოტებზე რიგ-რიგად გაწყობილი; ნაყოფი — წვრილი, მრგვალი, მომწიფებისას მოწითალო-ალისფერი, შეიცავს C ვიტამინს. საკვებად ვარგისია.

საქართველოში გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Sorbus caucasigena*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 15-20 მ-მდე, ვარჯი – ფართო, ღერო – ძლიერი, რუხი ქერქით დაფარული; ფოთლები – კენტფრთისებური, ელიფსურ-ლანცეტა ფორმის, 7-19 ფოთოლაკად შეკრებილი, ზედა მხარეზე შიშველი, მუქი მწვანე, ქვედა მხარეზე – მკრთალი ფერის, ოდნავ შებუსული; ფოთოლაკი – ბასრი ხერხბილა; ყვავილედის ფარისებური, მრავალყვავილიანი, ძირითადად – შიშველი, ზოგჯერ ოდნავ შებუსული; ნაყოფი – კაშკაშა წითელი ფერის ან მოყვითალო, სფეროსებური ან კვერცხისებურ-მსხლისებური.

საქართველოში ყველა მაღალმთიან რაიონშია გავრცელებული.

ნაყოფი გამოიყენება საკვებად.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Laurocerasus officinalis*



მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, სიმაღლე — 8 მ-მდე, ღეროს ქერქი — რუხი ნაცრისფერი; ფოთლები — მოკლევუნწიანი, წაწვეტებული, პრიალა, ტყავისებური, მოგრძო ელიფსური; ყვავილები — თეთრი, მტევანყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — კურკიანი, შავი, მომრგვალო კვერცხისებური ფორმის, რბილობიანი, წვნიანი, საკვებად ვარგისი; ფოთლები და ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს; გამოიყენება მედიცინაში.

გავრცელებულია დას. საქართველოში ყველგან, აღმ. საქართველოში — ქართლში (ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთებსა და საგურამოს ქედზე) და კახეთში, ზღ. დ. 2,300 მ-მდე.



*Populus tremula*



# ვერხვი მორთოლავი (ჩვეულებრივი) *Populus tremula*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 25–35 მ, ვარჯი – ცილინდრული ფორმის, ფოთოლი – გრძელი, ბრტყელყუნწიანი, მწვანე ფერის, მომრგვალო, კიდეებზე დაკბილული; ყვავილები – გრძელ ყვავილედში თავმოყრილი; ნაყოფი – წვრილი, კოლოფისებური ფორმის, მცირე ზომის თესლით; მერქანი – რბილი და მსუბუქი, გამოიყენება ქაღალდის წარმოებაში.

გავრცელებულია საქართველოში ყველგან, ძირითადად – სოჭნარ, ფიჭვნარ და წიფლნარ ტყეებში.

*Populus nigra*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 30 მ-მდე, ვარჯი – მძლავრი, მოხდენილი; ღერო – მომწვანო, ნაცრისფერი ქერქით დაფარული, ლამაზი, მსუბუქი, მაგარი; ფოთლები – გრძელყუნწიანი, თათისებურად განკვეთილი; ყვავილები – წვრილი, ცალსქესიანი, მჭიდრო ყვავილედებად შეკრებილი; ნაყოფი – კრებადი კაკლუჭი.

საქართველოში გავრცელებულია ყველგან, იზრდება, ძირითადად, მდინარეთა გაყოლებით, ტყის პირებზე, ზღ.დ. 1,400 მ-მდე.

დეკორატიულია. იყენებენ ბაღებსა და პარკებში, ქარსაცავ ზოლებში და ქუჩების გასამწვანებლად.

*Salix caprea*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 6–10 მ, ფოთოლი — ფართო ელიფსური, იშვიათად — კვერცხისებური, ზედა მხარეზე შიშველი, ქვედაზე — შებუსული; ყვავილედები: მამრობითი — მჯდომარე, მდედრობითი — მოკლეყუნწიანი; ნაყოფი — კოლოფი; ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, იყენებენ ტყავის სათრიმლავად.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული — ზღ. დ. 2, 300 მ-მდე. ძირითადად — მდინარეების გაყოლებით ტყის პირებზე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Salix alba*




ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 20-30 მ, ტოტები – მოყვითალო, მურა ყავისფერი; ფოთლის ყუნწი – მოგრძო, წვრილი, გადმოკიდებული; ფოთლები – მწვანე, მოგრძო ან ვიწრო ლანცეტა ფორმის, აბრეშუმისებრ ვერცხლისფრად შებუსუსული, კიდეებზე წვრილხერხისებურად დაკბილული; მჯადა – უკუკვერცხისებური, ყვავილთანური; ქერქი – მოყვითალო ან მომწვანო.

საქართველოში გავრცელებულია ყველგან – ზღ. დ. 1,600 მ-მდე. ძირითადად – მდინარეთა ნაპირების გაყოლებით.

ქერქი გამოიყენება მედიცინაში მთრიმლავი ნივთიერებების მისაღებად, წვრილი ტოტები – კალათების მოსაწნავად.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.



*Populus hybrida*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 30–35 მ, ვარჯი — ფართოდ გაშლილი, ღერო — გლუვი, ღია ფერის; ფოთლები — დიდი, ტოტებზე მჯდომი; კვირტები, ფოთლის ყუნწები და ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებურად შებუსული; მამრობითი და მდედრობითი ყვავილელები — ცალ-ცალკე განლაგებული; ნაყოფი — 2-4-საგდულიანი კოლოფი, აბრეშუმისებური ბუსუსებით შემოსილი თესლით.

გავრცელებულია მთელ საქართველოში მთის ქვედა სარტყელში, ძირითადად — მდინარეთა ნაპირების გასწვრივ.

ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

*Staphylea pinnata*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე – 2-4 მ, ფოთლები – ფრთისებური, მოგრძო ელიფსური, წაწვეტებული, 5-7 ფოთოლაკისაგან შედგენილი; ყვავილები – თეთრი, მტევნისებურ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი – მოგრძო კოლოფი, 1-2 სმ სიგრძის თესლით.

გავრცელებულია, ძირითადად, დას. საქართველოში, ალაგ-ალაგ ქართლსა და კახეთში, ზღ. დ. 700-800 მ-მდე.

გაუშლელი ან სუსტად გაშლილი ყვავილებისაგან ამზადებენ მწნილს.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში” (1982).

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

*Tamarix ramosissima*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ხე, სიმაღლე — 5 მ-მდე, მთავარი ღერო — ლეგა-რუხი შეფერილობის, ტოტები — მოწითალო, ფოთლები — წვრილი, ქერქისებური, უყუნწო, კვერცხისებური ან ლანცეტური ფორმის; ყვავილები — თეთრი, წითელი, იისფერი, ნორჩი ტოტების კენწეროებზე — მტევნისებურ ყვავილედებად შეკრებილი; ნაყოფი — სამკუთხა-პირამიდული ფორმის კოლოფი.

გავრცელებულია დაბლობებში, მდინარეთა და ტბების ნაპირების გაყოლებით. გვხვდება ზღვის ნაპირზედაც.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.



*Daphne mezereum*



გავრცელების არეალი



ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე — 1.5 მ, ვარჯი — მოყვითალო ყომრალი ქერქით დაფარული, ზემოთ აღმართული ტოტებით; ფოთლები — ვარდისფერი, მოკლეყუნწიანი, სქელი, უკულანცეტა ფორმის; ყვავილები — ვარდისფერი, 3-5-ყვავილიან წყვეტილ კონებად შეკრული; ნაყოფი — მოგრძო კვერცხისებური, წითელი, მშრალი, იშვიათად — წვნიანი, კურკიანი.

გავრცელებულია მთის ზედა სარტყელსა და სუბალპურ ტყეებში.

*Tilia begoniifolia*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 25-30 მ, მთავარი ღერო — ნაცრისფერი, მერქანი — რბილი, ფოთლები — მომრგვალო, კვერცხისებური, კიდეებზე ხერხისებურად დაკბილული; ყვავილები — მოთეთრო-მოყვითალო, მრავალწევრიან ფარისებურ ყვავილედებად შეკრული; ნაყოფი — მსხლისებური ფორმის, შებუსული, 1-2-თესლიანი კაკლით.

გავრცელებულია მთელ საქართველოში, მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Ulmus minor*



ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე – 25–30 მ, მერქანი – მკვრივი, დრეკადი, ხნიერ ტოტებზე კორპოვანი გამონაზარდებით; ფოთოლი – კვერცხისებური ან უკუკვერცხისებური, კიდებდაკბილული; ყვავილები – ორსქესიანი, მოკლეყუნწიანი, კონებად შეკრული; ნაყოფი – უკუკვერცხისებური, სიფრიფანაფრთიანი.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული, ძირითადად – ქვალორდიან, მშრალ ადგილებში.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა“ (1982) და “წითელ ნუსხაში“ (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).



*Ulmus georgica*





ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 6–7 მ, ღერო — მოგრძო, შავი ფერის ქერქით დაფარული; ფოთლები — მოგრძო ელიფსური, წვერში რამდენადმე გრძლად წაზრდილი, წვრილი, ორად დაკბილული კიდიით; ქვემოდან თეთრბეწვიანი, შემოდგომაზე — ტყავისებური; ყვავილები — ორსქესიანი, ფოთლის ილლიაში კონებად შეკრული; ყვავილსაფარი — მარტივი, 3–8-ად გაყოფილი; ნაყოფი — მშრალი კაკალი, სიფრიფანა ფრთით გარშემორტყმული.

გავრცელებულია ქიზიყში (კახეთი), კერძოდ, არფადარას ხეობასა და ბილიჩაში.



*Zelkova carpinifolia*




ფოთოლმცვივანი ხე, სიმაღლე — 15–30 მ, ვარჯი — დიდი, გაშლილი; ფოთლები — კვერცხისებური ან ელიფსური ფორმის, წაწვეტებული, კიდეებზე ღრმად დაკბილული, ყლორტებზე მჯდომი ან მოკლეყუნწიანი; ყვავილი — მურა ფერის, სიფრიფანა, 4–5-ნაკვთიანი; ნაყოფი — კაკლუჭი, მომწვანო ფერის, დაკუთხულ-დანაოჭებული.

გავრცელებულია სამეგრელოში, იმერეთში, გურიასა და კახეთში — ზღ. დ. 1,500–1,700 მ-მდე.

შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნსა” (1982) და “წითელ ნუსხაში” (2006). IUCN-ის კატეგორია: მოწყვლადი (VU).

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში.

*Vaccinium arctostaphylos*

# მოცვი კავკასიური (მაღალი) *Vaccinium arctostaphylos*



მარადმწვანე ან ფოთოლმცვივანი ნახევარბუჩქი ან ბუჩქი; სიმაღლე 2-4 მ, ყვავილი — მოწითალო-თეთრი ზარისებური, ნაყოფი — შავი კენკრა, მომჟავო-მოტკბო.

გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

იზრდება ქვეტყედ ზღ. დ. 2,200 მ-მდე — მეტწილად წიფლნარში, სოჭნარ-ნაძვნარში, ფიჭვნარსა და სუბალპურ არყნარში, იშვიათად — დეკიანში.

იყენებენ ტყავის სათრიმლავად, სამკურნალო საშუალებად.

დეკორატიულია. გამოიყენება ბაღებსა და პარკებში. თაფლოვანია.

*Vaccinium myrtillus*



ფოთოლმცვივანი ბუჩქი, სიმაღლე – 0.4 მ-მდე, ღეროები – შიშველი, წიბოებიანი; ფოთლები – მოკლევუნწიანი, კვერცხისებური ან ელიფსური, კიდეებზე ხერხისებურად დაკბილული; ყვავილები – მარტომყოფი, მომწვანო-მოვარდისფრო; ნაყოფი – მრავალთესლიანი კენკრა, წვნიანი, მომრგვალო ფორმის, ლურჯი-მოშავო, საკვებად ვარგისი. გამოიყენება მედიცინაში.

გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში – სუბალპურ და ალპურ სარტყლებში.

*Vaccinium vitis-idaea*





მარადმწვანე, დაბალი, გართხმული ბუჩქი; სიმაღლე – 0.5 მ-მდე, ფოთლები – მწვანე, წვრილი, სქელი, ტყავისებური, კიდემთლიანი, ელიფსური ან უკუკვერცხისებური; ყვავილები – წვრილი, თეთრი ან ვარდისფერი, მოკლეყუნწიანი, ზარისებური ფორმის მტევნებად შეკრული; ნაყოფი – კენკრა, წითელი ფერის; საკვებად ვარგისი, გამოიყენება მურაბის დასამზადებლად.

საქართველოში გავრცელებულია სუბალპურ და ალპურ სარტყლებში.


*Ruscus ponticus*



მარადმწვანე ბუჩქი, სიმაღლე – 0.3–1 მ, ტოტები – ტყავისებური, ღეროზე მორიგეობით განლაგებული, წაწვეტებული და წვრილი ეკლებით დაბოლოებული, ფილოკლადოდიუმებით (ფოთლის ფუნქციის შემსრულებელი ღეროს სახეცვლილება); ფოთლები – ცალსქესიანი, რედუცირებული, აპკისებურ ქერცლებად გარდაქმნილი; ყვავილები – ფილოკლადოდიუმების ქვედა მხარეზე განლაგებული; ნაყოფი – კენკრა, წითელი, ხორციან-წვნიანი.

გავრცელებულია დას. საქართველოში ყველგან და შიდა ქართლში – ზღ. დ. 1,000 მ-მდე.

დეკორატიულია. გამოიყენება ბალებსა და პარკებში.

*Smilax excelsa*



ფოთოლმცვივანი ხვიარა ბუჩქი, სიმაღლე – 2.5 მ-მდე, ღერო – ეკლიანი, ფოთლები – კვერცხისებური, მწვანე ფერის, წაწვეტებული წვერით, ღეროზე რიგ-რიგად გაწყობილი, ფოთლების ფუძესთან 2 ფოთლიდან წარმოქმნილი ულვაში, რომელიც ეხვევა საყრდენ მცენარეს; ყვავილები – წვრილი, მომწვანო, მტევნისებურ ქოლგაყვავილეებში თავმოყრილი; ნაყოფი – წითელი კენკრა, ნორჩი ყლორტებისაგან ამზადებენ მხალს.

საქართველოში გავრცელებულია ყველგან – ვაკე დაბლობებზე და მთებისწინა ზოლში.

## Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Abies nordmanniana</i>	Caucasian Fir	5
<i>Acer campestre</i>	Field Maple	13
<i>Acer ibericum</i>	Georgian Maple	12
<i>Acer laetum</i>	Bright Maple	14
<i>Acer platanoides</i>	Norway Maple	11
<i>Acer pseudoplatanus</i>	Sycamore Maple	10
<i>Alnus barbata</i>	Black Alder	28
<i>Alnus incana</i>	Grey Alder	29
<i>Amygdalus georgica</i>	Georgian Almond	78
<i>Arbutus andrachne</i>	Eastern Strawberry Tree	49
<i>Berberis vulgaris</i>	European Barberry	21
<i>Betula litwinowii</i>	Litwinow`s Birch	24
<i>Betula medwedewii</i>	Medwedew`s Birch	22
<i>Betula megrelica</i>	Mingrelian Birch	23

## Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Betula raddeana</i>	Radde`s Birch	25
<i>Buxus colchica</i>	Georgian Box	30
<i>Carpinus caucasica</i>	Caucasian Hornbeam	41
<i>Carpinus orientalis</i>	Oriental Hornbeam	43
<i>Castanea sativa</i>	Sweet Chestnut	57
<i>Celtis australis</i>	European Hackberry	36
<i>Celtis caucasica</i>	Caucasian Hackberry	35
<i>Celtis glabrata</i>	Smooth Hackberry	37
<i>Cerasus incana</i>	Gray Cherry	77
<i>Cerasus silvestris</i>	Wild Cherry	71
<i>Cistus salviifolius</i>	White Rock Rose	38
<i>Cornus mas</i>	Cornelian Cherry	40
<i>Corylus avellana</i>	Common Hazel	27
<i>Corylus iberica</i>	Georgian Hazel	26



# Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Cotinus coggygria</i>	Eurasian Smoketree	15
<i>Crataegus pentagyna</i>	Small-flowered Black Hawthorn	75
<i>Cydonia oblonga</i>	Quince	74
<i>Daphne mezereum</i>	Mezereon	91
<i>Diospyros lotus</i>	Caucasian Persimmon	44
<i>Elaeagnus angustifolia</i>	Russian Olive	46
<i>Fagus orientalis</i>	Oriental Beech	58
<i>Fraxinus excelsior</i>	Common Ash	64
<i>Halimodendron halodendron</i>	Common Salt Tree	50
<i>Hedera helix</i>	Caucasian Ivy	19
<i>Hippophae rhamnoides</i>	Common sea-Buckthorn	45
<i>Ilex colchica</i>	Colchic holly	18
<i>Juglans regia</i>	Common Walnut	60

## Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Juniperus foetidissima</i>	Stinking Juniper	3
<i>Juniperus oblonga</i>	Oblong Juniper	1
<i>Juniperus polycarpos</i>	Persian Juniper	2
<i>Laurocerasus officinalis</i>	Cherry laurel	83
<i>Laurus nobilis</i>	Bay Laurel	62
<i>Ligustrum vulgare</i>	Wild Privet	65
<i>Lonicera caprifolium</i>	Goat-leaf honeysuckle	33
<i>Malus orientalis</i>	Caucasian Wild Apple	76
<i>Mespilus germanica</i>	Common Medlar	73
<i>Ostrya carpinifolia</i>	Hop Hornbeam	42
<i>Paliurus spina-christi</i>	Christ's Thorn	69
<i>Periploca graeca</i>	Silk Vine	20

# Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Picea orientalis</i>	Oriental Spruce	4
<i>Pinus eldarica</i>	Eldar Pine	7
<i>Pinus pithyusa</i>	Bitchvinta Pine	6
<i>Pinus sosnowskyi</i>	Sosnowsky`s Pine	8
<i>Pistacia mutica</i>	Pistachio	17
<i>Populus hybrida</i>	Grey Poplar	88
<i>Populus nigra</i>	Black Poplar	85
<i>Populus tremula</i>	Common Aspen	84
<i>Prunus divaricata</i>	Cherry Plum	80
<i>Pterocarya pterocarpa</i>	Caucasian Wingnut	61
<i>Punica granatum</i>	Pomegranate	66
<i>Pyracantha coccinea</i>	Firethorn	81
<i>Pyrus caucasica</i>	Caucasian Pear	79

## Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Quercus hartwissiana</i>	Colchis Oak	56
<i>Quercus iberica</i>	Georgian oak	54
<i>Quercus imeretina</i>	Imeretian Oak	52
<i>Quercus macranthera</i>	High-mountainous Oak	51
<i>Quercus pedunculiflora</i>	Pedunculate Oak	55
<i>Quercus pontica</i>	Pontian Oak	53
<i>Rhamnus cathartica</i>	Common Buckthorn	67
<i>Rhamnus pallasii</i>	Pallas's Buckthorn	68
<i>Rhododendron caucasicum</i>	Caucasian Rhododendron	47
<i>Rhododendron luteum</i>	Yellow Azalea	48
<i>Rhus coriaria</i>	Elm-leaved Sumach	16
<i>Ribes alpinum</i>	Alpine Currant	59

## Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Rosa canina</i>	Dog Rose	70
<i>Ruscus ponticus</i>	Pontian Butcher's Broom	99
<i>Salix alba</i>	White Willow	87
<i>Salix caprea</i>	Goat Willow	86
<i>Sambucus nigra</i>	Black Elder	31
<i>Smilax excelsa</i>	Catbrier	100
<i>Sorbus caucasigena</i>	Caucasian Rowan	82
<i>Spiraea hypericifolia</i>	Iberian Spirea	72
<i>Staphylea pinnata</i>	European Bladdernut	89
<i>Swida australis</i>	Red Dogwood	39
<i>Tamarix ramosissima</i>	Salt Cedar	90
<i>Taxus baccata</i>	Yew Tree	9

## Alphabetical Index

Name in Latin	Name in English	#
<i>Tilia Begoniifolia</i>	Begonia-leafed Lime	92
<i>Ulmus georgica</i>	Georgian Elm	94
<i>Ulmus minor</i>	Field Elm	93
<i>Vaccinium arctostaphylos</i>	Caucasian Whortleberry	96
<i>Vaccinium myrtillus</i>	European Blueberry	97
<i>Vaccinium vitis-idaea</i>	Lingonberry	98
<i>Viburnum lantana</i>	Wayfarer	32
<i>Viburnum opulus</i>	Guelder Rose	34
<i>Viscum album</i>	European Mistletoe	63
<i>Zelkova carpinifolia</i>	Caucasian Zelkova	95

რედაქტორი: ქიქიკო ჯანელიძე

ფოტო: თემურ სუხიტაშვილი  
ნიკოლოზ ლაჩაშვილი  
კახაბერ სუხიტაშვილი  
შამილ შეთეკაური  
ზურაბ მანველიძე  
ანი გეთიაშვილი

დიზაინი: გიორგი ცაგარელი

---

ბროშურა მომზადდა პროექტის *ტყის მდგრადი მართვა საქართველოში* ფარგლებში, რომელსაც CENN ახორციელებს ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის – ADC-ის მხარდაჭერით, 8286-01/2012 ხელშეკრულების საფუძველზე.







## საველე მეგზური

© CENN, 2014 [www.cenn.org](http://www.cenn.org)

ISBN 5866868686